| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორი კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



თავადი გრიგოლ როსტომის ძე წერეთელი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა თავისის დისა კნეინა სალომე ანდრონიკოვისა, წერეთლის ასულისას, და სთხოვს პატივი სცენ და დაესწრონ გასვენებაზედ გვამისა მისისა ორს იანვარს, 1890 წელს, დილის ათის ნახევარზე ანჩხატის, ტაძარში. მიცვალებულს გაასვენებენ ახალ არსენალის ქუჩისა და ნაზაროვის სახლიდგან, № 7. (2—1)

სურათებიანი

„ვეფხის-ტყაოსანი"

ქვირფასს ყდაში,

გამოცემული

გ. დ. ქართველიშვილის მიერ

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნთ საწყობში.

წიგნში 27 ზინისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში — ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102

„ქართულის ხოროს ამხანაგობა"

ბ-ნ იოს. ივ. რატილის

ლოტბარობით

ამ ორის კვირის განმავლობაში გაჰმართავს

ქართულს კონცერტებს

შემდეგს ქალაქებსა და დაბებში: გორში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში და კულაშში.

პირველი კონცერტი გაიმართება გორში სამშაბათს, 26-ს დეკემბერს. (8—5)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 2 იანვარს,

ბენეფისი

ს. პ. სვიმონიძისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

შეშლილია

დრამა 2 მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებს ქ. ს. მესხი

II

დროებითი სიყვარული

კომედ. 2 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი სათვაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი მესხი, აბაშიძე, სვიმონიძე, გუნია, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე


ტფილისი, 30 დეკემბერი

დიდის ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ მთელს ევროპაში ამ ჟამად დიდ სახელმწიფოთა შორის მხოლოდ ერთს სახელმწიფოსა ჰყავს ისეთი მთავრობა, რომელიც სალიბერალო გზას ადგია. ევროპის დიდს სახელმწიფოებში დღეს მხოლოდ საფრანგეთის მთავრობა ეტანება ხალისით სასიკეთო ცვლილებათა შემოღებას, მართალის გულ-მტკივნეულობით წინამძღვრობს ქვეყანას და თითქმის წინ უსწრობს ერის სურვილს.

საფრანგეთის პარლამენტში, საცა 575 დეპუტატია, დიდი უმეტესობა ამ დეპუტატებისა მომხრეა რესპუბლიკისა, წინ იყურება და არა უკან, გულითა და სულით სწადიან მთელის ერის სიკეთე და არა პერძოდ რომელისამე წოდებისა, ან დასისა.

აგერ ოცი წელიწადია მას აქედ, რაც ამ ქვეყანაში არსებობს ესრედ წოდებული მესამე რესპუბლიკა და საფრანგეთს ჰმეთაურობს სარესპუბლიკო დასი, და ამ ოცის წლის განმავლობაში არა თუ ევროპა, არამედ კაცობრიობაც გაკვირვებით შესცქერის ამ ქვეყანას, მის საოცარს წარმატებას, გამუდმებულს წინსვლას, დიდად სასიკეთო მოღვაწეობას, ნიჭით, ხელოვნებით, მადლიანობით, ქონებით სავსე ცხოვრებას. შესცქერის გაოცებული ამ საკვირველს ქვეყანას და სცდილობს მისის მაგალითით ისწავლოს, მისი მაგალითი თავისდა საგულისხმიეროდ, თავისდა საწურთვნელად გამოიყენოს.

მართლაც-და დედამიწის ზურგზე, საფრანგეთს გარდა, სხვა ქვეყანა არ არის, სხვა ერი არ არის, რომ იმოდენა მადლი ჰქონდეს მინიჭებული, იმოდენა გენიოსობა გამოეჩინოს, იმოდენა გრძნობა ჰქონდეს კაცთ-მოყვარეობისა, იმოდენა სიკეთე დაეთესოს და ან იმოდენა ამაგი დაედოს მთლად კაცობრიობისათვის.

არც ერთის ერის ისტორიას არ ამშვენებს ღვაწლი ისე მრავლად სახელგანთქმულ კაცთა, ისე ნიჭითა და მადლით სავსე ადამიანთა, როგორც საფრანგეთის ისტორიას ამშვენებენ და აშუქებენ, მეტადრე ამ უკანასკნელის ორასის წლის განმავლობაში.

ხოლო იმ ხანში, რაც ეს დღევანდელი, მესამე რესპუბლიკა არსებობს, ესე იგი, ამ ოცის წლის განმავლობაში, მის რჩეულ მამულიშვილთა საოცრად ნაყოფიერი მოღვაწეობა ყველას თვალ-წინ აქვს, ყველა თითქმის თვალითა ჰხედავს იმათს მხნეობას, იმათს გამარჯვებას, თავ-გამოდებულსა და თავ-დაუზოგველს მამულიშვილობას. თითქმის ყველა ჩვენგანი მოესწრო და ნახა, როგორ დაიხსნა ერთმა ქვეყანა მტრის აკლებისაგან, როგორ გაჰფანტა მეორემ ხშირი სიბნელე უმეცრებისა, როგორ დააწყო, გაწურთნა და დარაზმა მესამემ ჯარი და მხედრობა, როგორ შთაბერა მეოთხემ სული ვაჭარ-ცობრსა და სამაგიეროს გადახდისა გულგატეხილსა და შემდრკალს, როგორ... მაგრამ კმარა. ვინ მოსთვლის იმათ ღვაწლს, ვინც საფრანგეთს მოევლინა ამ მცირე ხანში სანუგეშოდ და სასარგებლოდ, ხსნად და განსადიდებლად! ვინ მოსთვლის იმ აუარებელს პატიოსანს კაცებს, რომელთაც თავიანთის ცოდნით, ნიჭით, გარჯით, შეძლებითა და ქონებით, გულ-კეთილობით, კაცთ-მოყვარეობით დიდი შესამატი შეჰმატეს საფრანგეთს, რომელთაც დიდება მიანიჭეს და სახელი გაუთქვეს მეცნიერება - ხელოვნებაში, სწავლა-ცოდნაში, პირველი ადგილი დაუმკვიდრეს სიმდიდრე-მრეწველობაში და მთელის ევროპისა და ქვეყნიერობის მესვეურად გახადეს.

სად გნებავთ და რა ასპარეზზედ გნებავთ, რომ ყველგან საფრანგეთის გენიოსობა არა ჰბრწყინავდეს, მთელ ქვეყნიერობას არ აშუქებდეს და ნუგეშს არ აძლევდეს უკეთესის მერმისისას. პოეტები, ფილოსოფოსები, რომანისა და მოთხრობის მწერალნი, მხატვარნი და მეცნიერნი, ორატორნი და სახელმწიფო კაცნი, ტეხნიკები და ხელოსნები — ყველანი ერთი-ერთმანეთზე უკე-

# ფელეტონი

## წლიური ანგარიში პროვინციელისა

II

(დასასრული*)

წინა წერილში რამდენადაც შემეძლო, რამდენადაც მოხერხება და გარემოება ნებას მაძლევდა, დავუხატე მკითხველთ ჩვენი უნუგეშო, უილაჯო მდგომარეობა, ჩვენი არეულ-დარეული ცხოვრება, ისეთი ცხოვრება, რომლის შესახებაც თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ: ძაღლი პატრონს ვერ იცნობსო. ხოლო რადგანაც მე წლიურის ანგარიშის წერა განმიზრახავს (როგორ შევასრულებ, ეგ ღმერთმა უწყოდეს!), ამიტომ მარტო უნუგეშო ამბებისათვის ხომ არ უნდა მოვაცდინო მკითხველთა ყურადღება და ცოტა რამ სასიამოვნო და სანუგეშოც უნდა ვასმინო ხასმენელთა მათთა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, სასიამოვნო ამბად მარტო ის კმარა, რომ, როგორც „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც" შეუნიშნავს, ჩვენში ყველაზე მეტად საღდება წიგნები, ვიდრე სხვაგან სადმე ჩვენს ქვეყანაში. ამას სხვათა შორის ისიც ამტკიცებს, რომ ოზურგეთში ორია წიგნის მაღაზია და ჯერ-ჯერობით ორივე ხეირობს. ამას გარდა, არა თუ ოზურგეთში, არამედ ჩვენს დაბებშიაც ზოგიერთი მოვაჭრენი მისდევენ წიგნის გასყიდვის საქმეს.

სხვა რაღა გინდათ!? უნუგეშობაში ესეც კმარა ნუგეშად, რომ რომელსამე ხალხში წიგნის კითხვის სურვილი ძლიერი იყოს. სადაც ეს სურვილია, იქ, რასაკვირველია, მისწრაფებაც იქნება სწავლისა და ცოდნისა, იქ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვიც მეტი იქნება! ასეც არის. ჩვენი სკოლები ავსებით სავსეა შეგირდებით, და არა თუ სავსეა, ტევა აღარ არის, ადგილს ვეღარ შოულობენ. სასოფლო სკოლებში უადგილობამ სამრევლო სკოლების გამრავლებას შეუწყო ხელი და ზოგან ორ-კლასიან სასწავლებლის დაარსება გამოიწვია (მაგალითად ბახვსა და ბასილეთში). ბასილეთის მაგალითზედ ასკანასაც უცქვეტია ყურები და იქაც ლაპარაკია თურმე ამ გვარისავე სასწავლებლის გამართვისათვის. იმედია, მალე ლაპარაკი თვით საქმედ გადაიქცევა. ასკანას ერთის მხრით უძევს ბასილეთი და მეორეს მხრით ბახვი. უკვე ორივე სოფელშია ორ-კლასიანი სასწავლებელი და ასკანა რით ჩამოურჩება უკან ან ერთსა და ან მეორეს, რომ საკუთარი ორ-კლასიანი სასწავლებელი არ იქონიოს!

ერთის სიტყვით, ეხლა გურულები ძლიერ „დაფაცურებულნი" არიან სწავლაზე, თუ-კი ღმერთმა ჰქმნა სწავლის საქმეთა წინამძღვრებმა არ უღალატეს და თავის მხრითაც „დაფაცურება" არ მოაკლეს.

ჩვენში საზოგადო სურვილს სწავლისას არ იკარებს ერთად-ერთი ლანჩხუთი, რომელიც ნივთიერის შეძლებითა და მცხოვრებთა რიცხვით მთელს მაზრაში ჰპირველობს. რამდენს არ ელაპარაკებიან, რამდენს არ ეჩიჩინებიან ლანჩხუთს, რომ ორ-კლასიანი სასწავლებელი გამართოს, მაგრამ ლანჩხუთი ყოველსავე ამას აინუნშიაც არ იგდებს და იქნება კიდეც ჰფიქრობს თავის გულში: ოღონდ რკინის გზა გვიდღეგრძელოს ღმერთმა და, რაც ქვეყანაზე კლასებია, თქვენთვის დაგვილოცნიაო. სირცხვილია ლანჩხუთისათვის ასეთის ქვენა ანგარიშებით სიცოცხლე, რკინის გზის ტრფიალი და გაიძვერულის ალებ-მიცემის ფიქრი. მაგრამ, იმედია, ლანჩხუთელები, ის ლანჩხუთელები, რომელნიც ისე ბეჯითად და თავ-გამოდებით სცდილობდნენ ჩოხატაურიდამ მომრიგებელ - სასამართლოს განყოფილების გადატანას, ცოტას რასმე ორ-კლასიანის სასწავლებლის გამართვისათვისაც იფიქრებენ და ადრე განითავისუფლებენ თავს ამ სირცხვილისაგან. დეე, შეიგნონ, რომ უცოდინართათვის სამართალიც ბრმაა, კანონიც ჩლუნგია, ალებ-მიცემაც უხერხულია და თვით რკინის გზაც უსარგებლო.

ხოლო რადგანაც ამ წერილში მარტო სასიამოვნო ამბებს უნდა შევეხოთ, ამაზედ მეტად აღარ გავაგრძელებთ საუბარს და ისევ ჩვენს გზას დავადგებით.

ახალ წლიდამ ჩვენში გაიმართება სტამბა *), გვექნება საჯარო წიგნთსაცავი ოზურგეთში, იმ ოზურგეთში, რომელსაც ვიღაც უცნობმა ავტორმა ამას წინად ანდერძი აუგო „ივერიის" ფურცლებზე. მთელი ქალაქის, მისის ავ-კარგის, მისის ყოფა-ცხოვრების ასე ერთის კალმის მოსმით ანდერძის აგება თუმცა შეუძლებელი იყო, მაგრამ ამაშია კიდეც უნარი იმ უცნობის ავტორისა, რომ შეუძლებელი შესძლო და ოზურგეთს და მისთა მკვიდრთა, იქ მშრომელთა და მოაზრეთა სამარე გაუთხარა და დაჰმარხა კიდეც. დაჰმარხა-კი, მაგრამ ოზურგეთმა ეს დამარხვა არ შეიწყნარა და უნდა ხელ-ახლა დაუმტკიცოს ქვეყანას, რომ ვარსებობ, ვაზროვნობ და ვფიქრობო. თუ არ ამას, მაშ რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ოზურგეთს ორი წიგნის მაღაზია აქვს, საჯარო წიგნთ-საცავს აარსებს, სტამბას ჰმართავს, კერძო სავაჟო სასწავლებლის გამართვა განუზრახავს და სხვ. რა გინდათ მეტი ერთის მუქა ქალაქისაგან? ყველაფერს ერთად ხომ ვერ მოგკიან? დღეს ესაა, ხვალ სხვა იქნება.

ერთი წიგნთ-საცავი, განსაკუთრებით სოფლის სკოლის ოსტატებისათვის დანიშნული, ბასილეთში უნდა გაიმართოს. ამ წიგნთ-საცავის გამართვას დირექცია უწყობს ხელს, როგორც აღუთქვა, და ეჭვი არ არის, რომ საქმე სიტყვად არ დარჩება, აღთქმა უქმად არ ჩაივლის და ეს სანატრელიც მალე ასრულდება ისე, როგორც სასურველია.

*) იხ. „ივერია" № 278.

*) სტამბას არ შემიძლიან მარტო სასიამოვნო ამბავში დავუთმო ადგილი, რადგანაც, ვინ იცის, რის ბეჭდვას დაიწყებს. საკანცელარიო დავთრებსა და ბლანკებს თუ დაუწყო არშიყი, ხომ წახდა საქმე. ისე-კი მოგვცათ ღვთის წყალობა, ბლანკებისა და დავთრების „ზაკაზი" აქ ბლომად იშოვოს სტამბამ ამ დავიდარაბიანს დროში, როცა აუარებელი იხარჯება ეს განძი აქაურს კანცელარიებში.

თესნი, ერთი-ერთმანეთის მჯობნი, სავსებით ავსებენ ამ მადლიანს ქვეყანას. იქაური რომანი, იქაური ფილოსოფია, იქაური კრიტიკა, იქაური თეატრი, დრამა და კომედია განთქმულია მთელს ქვეყნიერობაზედ. საფრანგეთი სწორედ უზარმაზარი ქარხანაა სალიტერატურო და სამწერლობო ნაწერებისა, პირველი სამშობლოა ჟურნალ-გაზეთობისა, ხოლო მთელი გაცობრიობა ბაზარია, საცა გადის და საღდება ეს აუარებელი სალიტერატურო და სამწერლობო სანოვაგე.

სხვას ყველას თავი დავანებოთ და მარტო ის ვივარაუდოთ, რომ არ არის ისეთი სასიკეთო აზრი, ისეთი ფიქრი, გრძნობა, რომ პირველ იქ არ გაჩნდეს, იქ არ დაიბადოს, ან, თუ სხვაგან გაჩნდა სადმე, იმან პირველმა არ შეითვისოს მთელს ქვეყანაზე მოსაფენად, გასავრცელებლად.

ამით თუ აიხსნება, რომ არ არის ქვეყანაზე იმისთანა კაცი, თუ არ გადაკიდებული მტერი, რომ სიხარულითა და სიამოვნებით და თანაც იმედითაც არ შეჰყურებდეს საფრანგეთის ერის კეთილდღეობასა და ბედნიერებას...

გრ. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** მრავალთაგან მოგვდის წერილი, რომ გაზეთი გამოგვიგზავნეთ და ფულს ამ დღეებში მოგართმევთო. საჭიროდ ვსთვლით გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი მხოლოდ ფულის მიღების შემდეგ გაეგზავნება ხელის-მომწერს.

*** თავად რ. ერისთავის მეორე წიგნისთვის შეკრებილი ლექსები, რომელიც უკვე განიხილა ცენზორმა და რომელიც შეისყიდა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ. უკვე გადაუციათ დასაბეჭდად, წიგნი იანვარშივე იქნება მზად.

*** დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ მეშვიდე გამოცემა დედა-ენისა. ეს გამოცემა უცვლელად არის გადაბეჭდილი წინანდელის გამოცემიდგან, მხოლოდ ყდის ფასია დაკლებული: წინად ყდაში მყიდველნი აძლევდნენ სამ შაურს, ახლა-კი გადაჰხდებათ ორი შაური. ვინც ოცდა-ათს ეგზემპლიარს იყიდის ერთად ყდიანს, იმას თითო წიგნის ყდა 8 კაპ. დაეთმობა.

*** როგორც შევიტყეთ, უწმინდესს სინოდს ბ-ნის გრიქუროვის წიგნის მაღაზიისათვის შეუკვეთნია ქართული სახელმძღვანელონი, ბ-ნ იაკ. გოგებაშვილის მიერ შედგენილნი: დედა-ენა, ბუნების კარი, კონა, ხომლი, კუნწული და დედანი. ეს წიგნები გრიქუროვმა უნდა გადასცეს სემინარიას, ხოლო სემინარიამ სინოდის განკარგულებით უნდა დაურიგოს საქართველოს სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეებს. გრიქუროვს ამ წიგნების ფასს თვით სინოდი თავისის საკუთარის ფულიდგან გადუხდის. ეს ამბავი მით უფრო სასიამოვნოა, რომ აშკარად ამტკიცებს უწმინდესის სინოდის ზრუნვას ქართულის ენის წარმატებისათვის.

*** «Русское слово», შედგენილი იაკ. გოგებაშვილის მიერ, რომელიც ამას წინად მოიწონა ადგილობრივმა სამასწავლებლო მთავრობამ, უკვე დაუზარებია ათიოდე სახალხო სკოლის მასწავლებელს ტფილისის გუბერნიისას და ადგილობრივს დირექციას გაუგზავნია კიდეც სამასამდე ეგზემპლიარი.

*** ეხლა-ხან დაიბეჭდა წესდება ტფილისის სამეურნეო საზოგადოების საბაღოსნო სკოლისა. ამ წესდებიდამ სჩანს, რომ ხსენებული სკოლა გაიმართა 18 ნოემბერს 1885 წელს. სკოლას აზრადა აქვს მოწაფეთ პრაქტიკულად ასწავლოს საბაღოსნო ცოდნა. სკოლაში სამი უფროსი კლასია, რომლებშიაც ყმაწვილები სწავლობენ ბაღოსნობას თეორიულადა და პრაქტიკულად. ამას გარდა იქვეა გამართული მოსამზადებელი კლასი ორის განყოფილებით. უფროსს კლასებში მიიღებიან ყველა წოდების ყმაწვილნი 14-ის წლისაზედ არა ნაკლების ხნისანი, ხოლო მოსამზადებელში—12 წლისაზედ არა ნაკლებისანი. შეგირდების მიღება 1—15 ღვინობისთვემდეა. პანსიონერებად მიიღებიან ყველანი, ვინც წელიწადში გადაიხდიან 120 მან. გარედგან მოსიარულე შეგირდებს სკოლაში უფასოდ აქვთ სასმელ-საჭმელი. ჩაცმა-დახურვა და, საზოგადოდ, ცხოვრება მოწაფეთა ისეთია, როგორიც შეეფერება ჩვენებურის ხალხის ცხოვრების ღირსებას.

*** ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ სიღნაღის მაზრის უფროსისაგან 26 მანეთი და თანაც წერილი, რომ დღესასწაულების გამო ვიზიტების მაგიერ ეს ფული შეაგროვეს აქაურებმა და გიგზავნით წინამძღვარიანთ-კარის სკოლის შესაწევრადაო.

*** ტფილისის პოლიციის უფროსის კანცელარიაში გავიგეთ, რომ ამ თთვის 29-მდე პოლიციის მოხელეთ ტფილისში მოუგროვებიათ 2,066 მანეთი პოეტ პუშკინის ძეგლის ასაგებად. ა. ს. პუშკინის სურათი უკვე კეთდება მიუნჰენში და გაზაფხულზე მიიღებენ ტფილისში.

*** დღესასწაულები მოახლოვდა და ჯიბგირებსაც ეს უნდოდათ. ეხლა, როდესაც ბაზრებში დიდი მოძრაობაა, ჯიბგირები მყიდველებს დასტრიალებენ და პირველსავე წამს ჯიბიდამ აცლიან ფულს. მაგალითად, პარასკევს, ამ თთვის 29, იარმუკაში ქ-ნი მალალოვისა ყიდულობდა სხვა-და-სხვა რაგინდარას საახალწლოდ. ამ დროს მიეპარნენ კინტოები და ჯიბიდგან ამოაცალეს ფულად სამი თუმანი, მაგრამ ორივენი შეპყრობილ იქმნენ პოლიციის მოხელეთა მიერ.

*** ტფილისის რკინის გზის სადგურის მახლობლად იმყოფება ერთი დუქანი. ამ დუქანში ყოველ საღამოს დაბარებულებივით იყრის თავს ათასი ჯურა უსაქმო თუ საქმიანი ხალხი. უმეტესი ნაწილი-კი რკინის გზაზე მომუშავენი არიან, რომელნიც საღამოს რვა-ცხრა საათიდგან ღამის ორსა და სამს საათამდე აქ იკლავენ თავს ქაღალდისა და ლოტოს თამაშობაში, კვირიდგან კვირამდე ოფლის მოწურვით აღებულს თითო-ოროლა გროშს აქ აგებენ და თავად რჩებიან ცალიერ ტარიელნი. დუქნის პატრონს კარგი სარფა აქვს და ხმასაც არავინა სცემს. პოლიცია არ იზამს ურიგოს, რომ მიაქციოს ყურადღება ამ დუქანს და მოსპოს იქ ასეთი უწესოება, თორემ შეიძლება იმ აყალმაყალს, რაც აქა ხდება, სხვა რამ უბედურებაც მოჰყვეს.

*** ვინც დღევანდლამდე ვერ მოასწრო აღება მოწმობისა, პატენტისა და ან ვერ შეიტანა დასაფასებელი ხარჯი ქალაქის გამგეობის კასაში, განკარგულება მოახდინეს, რომ ამ 31 დეკემბერს, კვირა დღეს, საღამოს 6 საათიდამ 9-მდე ღია იყოს ბუჰგალტერია, რომ ყველამ, ვისაც დაჰგვიანებია, თავისი ანგარიში გაასწოროს.

*** „წერა-კითხვის წიგნთ-საცავს“ შემოსწირეს წიგნები.

არ. ქუთათელაძემ გულასპიანის მხედრული ხელნაწერი.

თ. გიორგი აბაშიძემ ანუკა ბატონიშვილის მზითევის სია, ხელნაწერი მხედრული.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ზროშა, დეკემბერი. ეგ რაღაც ინფლუენცია, ჩვენსკენ საშინლად გავრცელებულია სოფლებში. არ არის ოჯახი, რომ ამით ავადმყოფი არ იყოს, მაგრამ დაწოლით არავინ უწვება. უმეტესი ნაწილი იხდის ფეხზედ სრულიად უწამლოდ და უექიმოდ. არც ისეთი შიშის ზარი დაუცია ჩვენთვის, როგორც თქვენ, ქალაქში მცხოვრებლები, შეგაშინათ და დაგაფრთხოთ. ჩვენ თქვენსავით არც გაპტყელებულ სახელს უწოდებთ მოარულ სენს. ჩვენთვის ეგ არის „ჩამომდები სურდო“, ანუ სურდო-ხველა და მეტი არაფერი. ამ ნაირად ბევრია ავადმყოფი, მაგრამ არავინ არ იზიდავს იმდენს ჩვენს ყურადღებას, არავისი მდგომარეობა არ იწვევს იმდენს გულ წრფელ წუხილს, არავისთვის არ იხარჯება იმდენი სიცოცხლის ნატვრა, რამდენიც ერთის სასიქადულო და სასარგებლო მამულიშვილისათვის, რომელიც დღეს მძიმე ავადმყოფია, სახელდობრ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზ გაბრიელისათვის *). ვინ არის რომ დღეს ამას არა სწუხს, რა წოდების, სქესის, წლოვანების ადამიანი გინდა? სად არ მოიარა ელვასავით მის მეუფების მძიმე ავადმყოფობის ამბავმა? ვისგან არ გაიგონებ ეხლა სოფელში ყოველ პატიოსანის კაცის გულის გამთბობ სიტყვებს: ღმერთმა გვიცოცხლოს, როგორც ჩვენთვის არის კარგი, ისე კარგი უყოს ღმერთმა, ღმერთმა ნუ დაგვაობლოსო“. «ივერიის» მკითხველებს ჩემი ნათქვამი არ გააკვირვებთ. იმათ იციან, ვინ არის გაბრიელი ჯერ მთელის საქართველოსათვის და მერე განსაკუთრებით იმერეთისათვის. აქ სად გინდა მოსძებნო სოფელი, ეკკლესია, რომლის გალავანშიაც დიდი თუ პატარა არ ჩაუხედინებია თავის გულში, თავის მოქმედებაში ამ წმინდა მამის მაღალ-ზნეობიანს მაღალ-მორწმუნოებით სავსე ნაქადაგებს სიტყვებს. ყველას ნატვრას ჩემს ნატვრასაც დავუმატებ და ვისურვებ, ღმერთმა გვიცოცხლოს გაბრიელი.

ვგონებ დიდი ნახტომი არ იქნეს, რომ ქვეყნის სასარგებლო კაციდგან ქვეყნის სასარგებლო საქმეზედ გადავიდეთ, სახელდობრ სკოლაზედ. კაცმა გაგებულმა, სიკეთის მთესველმა, საცა უნდა სთესოს მადლი, რომელ ერშიაც

*) ამ ჟამად მისი მეუფება უკვე კარგად ბრძანდება. რედ.

---

რაკი სწავლა-განათლებაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ურიგო არ იქნება ცოტა რამ სამრევლო სკოლების შესახებაცა ვსთქვათ, რადგანაც ამ ნაირი სკოლები ჩვენში ახალი საქმეა. ჩვენში უკვე ცამეტი სამრევლო სკოლაა და უმეტესი მათგანი ამ ერთისა ორის წლის წინად არის დაარსებული, რაიცა ცხადად ამტკიცებს, რომ ამ გვარ სკოლათა რიცხვი მომავალში ერთი-ორად იმატებს და იბარტყებს. ეს გარემოება, რასაკვირველია, სასიამოვნოა, მაგრამ, როგორც ყველა ახალს საქმეს, სამრევლო სკოლებსაც ჩვენში თავისი ნაკლი აქვს. ამ ნაკლის გამო აქვე ვიტყვი ორიოდე სიტყვას (თუმცა ოთხიოდეც შეიძლება ითქვას) და, იმედია, არავინ მიწყენს.

სამრევლო სკოლის მასწავლებლობას კისრულობენ იმისთანა კაცნი, რომელნიც ამ საქმეში ერთობ ხამნი არიან და სკოლისა და ოსტატობისა არა გაეგებათ რა. ვსთქვათ რომელიმე „კურსოვნიკი“ ახალგაზდა არც ერთს თბილს ალაგას არ გამოდგა და ან არ გამოაყენეს და არც შემდეგში აქვს იმედი, რომ ამ გვარსავე ალაგს ოდესმე თავი შეაფაროს. აი, ამისთანა ახალგაზდა მიეშურება სამასწავლებლო რჩევაში და თხოულობს ნებართვას სამრევლო სკოლის გახსნის შესახებ. ამ შემთხვევაში მთხოვნელი ხელმძღვანელობს იმ ანდაზით, რომ „ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა სჯობიაო“, ხოლო სამასწავლებლო რჩევა-კი—«სულ არარაობას ცალ-უღელა ხარი სჯობიაო», და ამ რიგად საქმე გაჩარხულია. კაცი, რომელსაც „Честь имѣю донести“-ს მეტი არც არა უწერია და არც არა უკითხავს თავის სიცოცხლეში, ერთს მშვენიერს დღეს უცებ „გაპედაგოგებული“ ბრუნდება თავისს სოფელში. რასაკვირველია, ეს ისეთი ნაკლია, რომელიც დღეს თუ ხვალ გასწორდება, რადგანაც მთავრობას უკვე განუზრახავს ამ საქმისთვის მოსამზადებელ კურსების დაარსება. ნივთიერი მდგომარეობაც არა სანუგეშოა ჩვენის სამრევლო სკოლებისა, რასაც დროიანად უნდა მიშველება. მართალია, წელს რჩევამ ცოტა რამ დახმარება აღმოუჩინა ზოგიერთ სკოლებს, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. ყველაზე უპირველესი და უსაჭიროესი მიშველება ის იქნება, რომ სამრევლო სკოლებს როგორმე საკუთარს სადგურს შეაძენინებდნენ და ხეირიანის საკლასო ხის ავეჯით მორთავდნენ. ღმერთმა ჰქნას!

III

რადგანაც წლიურს ანგარიშში მოსავლის შესახებაც უნდა ითქვას რამ, ამიტომ ცოტას ამაზედაც შევაჩერებ მკითხველთა ყურადღებას. წრევანდელი მოსავალი ჩვენში საშუალოდ შეიძლება ჩაითვალოს. საპურე მცენარეთაგან, როგორც უკვე მოგეხსენებათ, ჩვენში მოჰყავთ სიმინდი და ღომი. რომ მაისის, თიბათვისა და მკათათვის უზომო წვიმებს არ დაეზარალებინა ეს ჭირნახული, ღომი და სიმინდი იმდენი მოგვივიდოდა, რომ „ფეხს ვერ ავუდგამდით“. მაგრამ მადლობა ღმერთს, მოლოდინზე მაინც მეტი მოვაგროვეთ. ამისთვის სხვათა შორის ენკენისთვისა და ღვინობისთვის მშვენიერ ამინდების მადლობელნი უნდა ვიყვნეთ. ამ თთვეების კარგმა დარებმა ხელი შეგვიწყო და ყანებიდამ ისე გადავალაგეთ მოსავალი ნალიებსა და ბეღლებში, რომ ერთი მარცვალი არ დაგვკლებია. სამწუხარო მხოლოდ ესაა, რომ ფასი სრულიად აღარა აქვს სიმინდს და არ ვიცით რით უნდა გაუძლვენ ჩვენში მხვნელ-მთესველნი ათას გვარს საჭიროებასა და მოთხოვნილებას, როცა ერთად-ერთი სიმინდი იყო ყოველ გვარს გაჭირებაში იმათი იმედი და მაცხოვარი!

ღვინის მოსავალზე არაფერს ვიტყოდი, რადგანაც ჩვენში მხოლოდ იზაბელა მოდის (ამას-კი აქ ღვინოდ არავინ აგდებს). რომ ფოთიდამ მოწერილი ამბავი არ წამეკითხა («ივერია» № 264): „აქ დიდ-ძალი ღვინო მოდის გურიიდამ გასაყიდიო, იწერება კორრესპონდენტი: „ჩხავერი“ და „ადესა“-ო. „ჩხავერი“ ფუთი ექვსშაურად ახაზად იყიდება „ადესა“-კი უფრო იაფიაო“. ადესისა რა მოგახსენოთ და ჩხავერი რომ იშოვებოდეს, ადგილობრივ ფუთი სამ-ოთხ მანეთად გაიყიდება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩხავერი კარგა ხანია, რაც გამოგვესალმა, და არა თუ შორს გასაყიდად წასაღები არ იყოს, არამედ იშვიათის შემთხვევისათვის ძლივს ვშოულობთ. შეიძლება, გაიძვერა ჩალვადრები თეთრს ადესის ღვინოს ჩხავერად ასაღებდნენ ფოთელებზე, რითაც ვინ იცის თუ ჩხავერი რა შეურაცხყოფილი რჩება! ყოველს შემთხვევაში, როგორც ჩხავერის მოსარჩლე, ვაფრთხილებ ფოთელებს, აქაურის ღვინის ყიდვის დროს დიდი ყურადღება მიაქციონ საგანს, გემოსა და ფერს ღვინისას. ადესის ღვინოს ყოველთვის განსაკუთრებული სუნი და გემო აქვს, რაც უჩვეველს კაცს ეტოშება და ეხამუშება, ამასთან ფერს იშვიათად დაიწმენდს და უმეტეს შემთხვევაში სისქე ემჩნევა. რა საჭიროა აგიწეროთ ჩხავერი, როცა ნამდვილად ვიცი, რომ ის გარეშე ადგილებში გასასყიდად აღარ იგზავნება. მხოლოდ საჭიროდ მიმაჩნია ვსთქვა, რომ ჩხავერს ორ ფერის ღვინო უდგება, თეთრი და ვარდის ფერი. შავი და წითელი ჩხავერის ღვინოდ არასოდეს არ შეიძლება მიიღოთ. მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ-კი! სადაც „ნარცონი“ სცდილობს მეცნიერად გაასაღოს თავი, იქ „ადესამაც“ „იჩხავეროს“ ფოთელებთან რა, რომლებსაც ნამდვილის ჩხავერის ბიჭობა არ უნახავთ!

IV

ნაფიქრი და ნააზრევი

არა თუ ჩვენში, არამედ საზოგადოდ ყველგან ეს წელიწადი რაღაც ახირებული, რაღაც თავისებური, რაღაც უცნაური გამოდგა. ბრაზილიაში უარ-ჰყვეს მშვიდობიანი, სათნო და კეთილი მეფე დონ-პედრო, სილოვანმა უარ-ჰყო ბრუნვა პიროვნობით ნაცვალ-სახელთა. აკაკი, ეს გონება-მახვილი, სიტყვა-მჭევრი და ენა-წყლიანი პოეტი, „ბოდვას“ მოჰყვა. ამან ხომ გაგვაკვირვა და გაგვაოცა ყველანი, მაგრამ დიდის ყურადღებით ვისმენთ ამ ჩინებულის პოეტის არანაკლებს ჩინებულს „ბოდვას“. ვისმენთ და ხან ვწითლდებით, ხან ვყვითლდებით, ხან ვნაცრისფერდებით და სხვ. ყოველივე ეს იმიტომ მოგვდის, რომ აკაკის „ბოდვა“ ძლიერად და

გინდა ჰქმნა სიკეთე რასაკვირველია, სულ ერთია, მხოლოდ ზნეობით მეალე ხარ სთესო სიკეთე იქ, საცა შენს ნათესს ნიადაგი უფრო ნაყოფიერად აღმოაცენებს. თუ ეს ასეა, ერვინ ვერსად ვერ მოიტანს იმდენს ნაყოფს, რამდენსაც თავისს სამშობლოში. ამიტომ უნდა იყოს, რომ უკეთესი მოღვაწენი თავის სამშობლოს კეთილდღეობას აკლავენ თავის ღონეს ყოველ ქვეყანაში. თუ ეს თქმის საერთოდ სამშობლო ქვეყანაზედ, მგონია თითქმის ესევე ითქმის კერძოდ იმ სოფელზედ, სადაც, პოეტისა არ იყოს,

„დაბადებულხარ, აღზრდილხარ
სადაც სიყრმითვე ჩვეულხარ,
სად მამა-პაპა გეგულვის,
იმათი კუბოს ფიცარი“.

უმეტესს მოღვაწეთაგანს ცოტა თუ ბევრად გარემოებანი ბევრ ნაირად ხელს უწყობს, რომ სწორედ იქ ასთესოს კეთილი, საცა დაბადებულა და აღზრდილან. სწორედ ამით ვხნი, მაგალითებრ, ბ-ნ წინამძღვარიშვილის მოღვაწეობას წინამძღვრიანთკარში, გაბრიელ ეპისკოპოზისას — ბახვში, კ ნა ანდრონიკაშვილისას — ბაკურციხეში და ბევრის სხვისასაც. ვენი სოფელი შრომაც ერთის მოღვაწეს სამშობლო არის. მაშ როგორ არ გაგვიკვირდეს, როგორ არ დავღონდეთ იმის გამო, რაც ამ დღებში ჩვენში მოხდა: სოფლის ყრილობამ დაადგინა განაჩენი და უკვენებაც მიიღო მაზრის უფროსისაგან, აიყიდოს საჯარო ვაჭრობით სოფლის სკოლის მშვენიერი დარბაზი, რომელიც ათ წელზედ მეტია სდგას, თუმცა სწავლა შიგ სამ თუ ოთხ წელზედ მეტი არა ყოფილა. მეტი საზარცხვინო და სამწუხარო ამბავი და გაგონილა. საერო სკოლების ისტორიას ჩვენში მსგავსი მაგალითი ახსოვს? მგონია არა. ახლა როგორ გგონიათ, რამ დაღუპა ეს წმინდა საქმე? დაღუპა იმან, რაც ჰღუპავს ბევრს კარგს საქმეს ჩვენს საბრალო ქვეყანაში: უთაურობამ, უკაცობამ. არ გაჩნდა კაცი, არა თუ შეძლებითა და ქონებით დაწინაურებული, არამედ შეგნებით ამ საქმეში სწორ გზაზედ სოფლის დამყენებელი. ნუ ყველას დავავიწყდით, ვისაც რიგი არ რის ჩვენი ამ მხრით დავიწყება, რად ღვავიწყდით იმას, ვისაც არ უნდ დავვიყებოდით, ვისაც ასე პატივსასცემენ იმის მშობელ სოფელში სამწუხაროა, დიდად სამწუხაროა. მგონდებ რომ გორის მაზრიდამ, ვონებ სოფელ კარალეთიდამავე ერთს ამბავ იწერებოდნენ.

ილიკო

---

### წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს გაზეთში შემდეგი:

გარდა იმ შემოწირულებათა, რომელიც უკვე იყო ხსენებული თავის დროზე „ივერიაში“ (1631 მან. 76 კაპ.), ნიქოზისტაძრის განახლების კომიტეტს მოუვიდა კიდევ შემდეგი შემოწირულებანი:

ბლალოჩინის ზთუმის დეკანოზ სიმან ქიქოძის მიერ შეკრებილი 89 მან. და 20 კაპ., ქ. კოლომნის მართელისგან — 19 მ., მანგლისით ბ-ნ ორკლასიანის სწავლებლის ზედამხედველის თაოსნობით შეკრებილი — 11 მან. და 11 კაპ., პიატიგორსკის სკოლის ინსპექტორისაგან შეკრებილი — 9 მან. და 50 კაპ., ტფილისიდგან ბ-ნ მიხაილოვის ნაწ. ბოგულის ლოლაძის თაოსნობით 21 მან. და 55 კაპ., სუშის რეალური სასწავლებლის ბ-ნ ტარასოვისაგან შეკრებილი 17 მან 50 კაპ., ამიერკავკასიის კანცელარიისაგან შეკრებილი — 5 მან. და 12 კაპ., ტფილისის მეორე სავაჟო გიმნაზიის დირექტორის მიერ შეკრებილ — 7 მან. და 38 კაპ., სტავროპოლის დირექტორისაგან — 3 მან. და 39 კაპ., ყვირილის ბლალოჩინის დეკანოზ მ. დავით ლეჟავაშვილისაგან — 5 მან. 10 კაპ., ეისკის რეალურის სასწ. დირექტორისაგან — 8 მან., ბრანნიცკის მაზრის მართველისაგან — 25 მან. და 5 კაპ., კავკავის ვაჭრის ბ-ნ ნიკ. ხირაქიშვილის თაოსნობით — 20 მან. შემოსწირეს: ბ-ნმა ნიკო ხირაქიშვილმა — 8 მან., მღვდ. იოანე კოპაძემ — 2 მან., მღ. დ. ობოლაძემ — 1 მან., ს. ოლიგის მღ. — 1 მან., მაქ. და თომა გიორგობიანებმა — 1 მან., მღ. მ. ხეთაგურმა — 1 მან., მღ. ნ. ბაკურაძემ — 1 მან., გიორგი ხამარიტოვმა — 1 მან., გიორგი გოხოკიძემ — 1 მან. და სხვათ.

ქ. თეირანის მამა არხიმანდრიტმა ევსევიმ — 25 მან., გაბრიელ სიმონოვმა — 2 მან., ს. უთნელიძემ — 1 მან., გ. გოლოვნოვმა 1 მან. წინანდელი შემოწირულება — 1631 მან. და 76 კაპ. და ეხლანდელი — 251 მან. და 30 კაპ. შეადგენს — 1883 მან. და 6 კაპ. გამგე კომიტეტი ნიქოზის ტაძრის განახლებისა და შეკეთებისა უგულითადესს მადლობას უძღვნის ყველა შემომწირველს.

სოფ. ზემო-ნიქოზის ტაძრის მღვდელი
იოანე დავითაშვილი

---

### ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ ახალ წლის უკანასკნელს დღეს კარგი იქნება, რომ ტფილისელ ექიმების გმირობაც მოვიხსენიოთ, ეხლავე მოვრჩეთ და ახალი წელიწადი ამ უსიამოვნო ამბით არ გავიუგემუროთ. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამ წელიწადს ჩვენმა ექიმებმა საზოგადოდ და თითოეულმა კერძოდ დიდი ღირსება გამოიჩინეს და ათასი ისეთი რამ ჩაიდინეს, რომ იმ გვარ საქციელისათვის არა ექიმი თხუთმეტჯერ დაისჯებოდა და მაგიერი გადახდებოდა. იმათი „ზნენი სამამაცონი“ ჩვენს გაზეთში თითქმის წვლილად იყო აწუსხული და ესამბავიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სათვალავს არ მოაკლდეს. გუშინდელს გაზეთ „Новое Обозрѣніе“-ში ერთი საინტერესო წერილია დაბეჭდილი. წერილი გვარ-მოწერილია და ეკუთვნის აგნია ალექსანდრეს ასულს ბურიოტს. ამ ქალს ავად გახდომია ქმარი და მიუმართავს ავთანდილოვისათვის. ამ ექიმს უთქვამს, ავადმყოფს სახადი აქვსო, მაგრამ მაშინვე მიწვეულს ექიმ-ქალს ქ-ნ ხამოილოვიჩს გამოუცხადებია, რომ უბრალო ციებცხელებაა და სხვა არაფერიო. ავთანდილოვმა მოარჩინა, ფეხზედ დააყენა ავადმყოფი, მაგრამ ის ისევ ცუდად შეიქმნა. ეს ექიმი ურჩევს სნეულის ცოლს, რომ ალბად ხელახლად შეაქცია სახადმა, ლოგინში ჩააწვინეთ და კარგად მოუარეთო.

მაგრამ, ავადმყოფის სურვილით, მოწვეულ იქმნა ქ-ნი სამოილოვიჩიცა. ამ ქალმა ჰნახა თუ არა ბურიოტი ლოგინში, დაუწყო დაცინვა ბ-ნ ავთანდილოვს და მაშინვე უთხრა ავადმყოფს, რომ წამოდექით ფეხზედ, იარეთ, ისეირნეთ და, რამდენიც შეიძლოთ, ჭამა-სმას ნუ მოიკლებთ, რადგან თქვენ სულ სხვა სნეულება გაქვთო.

ქ-ნმა სამოილოვიჩმა გასინჯა ნახველი ავადმყოფისა და ვერავითარი კოხის ბაცილა ვერ იპოვნა. მაინც ფილდშერის ქალის ქ-ნ პერეკრესტოვისთვის უთქვა, რომ ავადმყოფს ჭლექი აქვსო. თუმცა აშკარა საბუთი არა არის-რა, მაგრამ ამ მხრით საკვირველი ალღო გვციო.

ამასობაში ავადმყოფს თანდათან უძლიერდება სენი, სამოილოვიჩი ჭლექის წამალს უმუდმებს და ურჩევს, რომ ხორცი ჭამეთ რაც შეიძლოთ და პურს კარაქი შეატანეთო.

14 ნოემბრ ს 4 საათზედ ავადმყოფმა საშინელი ტკივილები იგრძნო. გაიქცნენ ქ-ნ სამოილოვიჩთან, მაგრამ იმან უარი სთქვა, სხვა ექიმი დაუძახეთო. ავთანდილოვმა მორფი გამოუწერა. მეორედ გაიქცნენ ექიმ-ქალთან, მაგრამ ის შინ არ დაუხვდა და მხოლოდ პირველს საათზედ მოვიდა. როცა ვკითხე, კონსილიუმი ხომ არ იქნება საჭიროვო, ქ-ნმა სამოილოვმა მიპასუხა: „რა საჭიროა? სულ ერთი არ არის თქვენთვის, ერთის ექიმის თანდასწრებით მოკვდება თქვენი ქმარი, თუ რამდენისამეს თანდასწრებით, დღეს მოელება ბოლო, ერთის თვის შემდეგ, თუ ორისა? ავადმყოფს სიკვდილი უწერია ბედად და მოკვდება კიდეც“.

ამ ნუგეშის მიუხედავად მაინც მოვიწვიე რამდენიმე ექიმი, მაგრამ გვიანღა იყო, ავადმყოფი სახადმა ინაცვალა. ექიმთ ავთანდილოვისა და ხუდადოვის თხოვნით, გარდაცვალებულის გვამი გასჭრეს. აღმოჩნდა, რომ ჩემი ქმარი მოუკლა, ჭლექს-კი არა, სახადს და ნაწლევებიც წახდენილი ჰქონდა.

როგორ მოგწონთ ეს ამბავი? აქ საკვირველი ის-კი არ არის, რომ ქ-ნი სამოილოვიჩი შესცდა, სოფ. ცარი საერთოდ იმისი საქციელია: დასცინის წინანდელს ექიმს, იმ ექიმს, რომელმაც პირნათლად აღასრულა თავისი მოვალეობა და კარგად მიხვდა ავადმყოფს რაც ემიზეზებოდა, თუმცა ესეც რომ არა ყოფილიყო, ქ-ნს სამოილოვიჩს მაინც ნება არა ჰქონდა დაეცინა. ჭლექის ბაცილებს ვერა ჰპოულობს, მაგრამ საქვეყნოდ აცხადებს, რომ საოცარი ალღო მაქვს და თუმცა ბაცილები არა ჩანან, მაინც უეჭველად უნდა იყვნენ, ჩემი ალღო ამტკიცებს ამასაო. ავადმყოფს ურჩევს, რომ ჭამა-სმას ძალიან დაეტანეო, მაშინ-როდესაც სწორედ ამ მხრით უნდა ყოფილიყო სნეული ფარეზად. ყველაზედ შესანიშნავი-კი ქ-ნ სამოილოვიჩის უკანასკნელი სიტყვებია:

„სულ ერთი არ არის თქვენთვის, ერთის ექიმის თანდასწრებით მოკვდება თქვენი ქმარი, თუ რამდენისამეს თანდასწრებით, დღეს მოელება ბოლო, ერთის თვის შემდეგ, თუ ორისა? ავადმყოფს სიკვდილი უწერია ბედად და მოკვდება კიდეც!

თუ ყველა ქ-ნ ბურიოტის მიერ ნათქვამი მართალია, სწორედ საოცარი ექიმი ყოფილა ქ-ნი სამოილოვიჩი, მშვენიერი ალღო ჰქონია და ჭირისუფლის ნუგეშინის ცემაც საუცხოვოდ სცოდნია!

---

### დღეს

29 დეკემბერი

პეტერბურგი. დღეს მეცნიერებათა აკადემიაში, დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს-ძის თავს მჯდომარეობით, იყო წლიური კრება, რომელსაც დაესწრნენ: საერო განათლების მინისტრი, სახელმწიფო კონტროლერი და თავს მჯდომარე მინისტრთა კომიტეტისა. კონფერენციის სეკრეტარმა პირველში ილაპარაკა აკა-

---

მწვავედ ხვდება ჩვენს სულსა და გულს. საკვირველია, მაშ რა არის, როცა «ბოდვა» სჭრის იქ, სადაც დინჯი და დარბაისლური ამბავი ვერას ახერხებს.

მაგრამ არც დონ-პედროს ტახტიდამ ჩამოგდება, არც სილოვანის მიერ ნაცვალ-სახელთა ბრუნვის ფრჟოფა, არც აკაკის „ბოდვა“, არც სანდალას გაკრიტიკოსება, არც ეიფელის კოშკი, არც ბროუნ - სეკარის მიერ აღმოჩენილი სიბერის წამალი, არც ედისონის მიერ შემოღებული ათას გვარი მანქანა ისე არ გვაკვირვებს, როგორც მეცნიერისა და ბრძენის „ნარ-დონის“ ჩვენის საზოგადოების მიერ უმეცრად ჩათვლა და გაბიაბრუება. აკაკი ჰბოდავს და მაშინაც არ ჰბოდავს და „ნარ-დონი“ მეცნიერობს, ჰბრძნობს და მაინც ბოდავს. ამაზე უთქვამთ: „ზოგის ბამბა ჩხრიალებს და ზოგის კაკალიც არაო!“ მაშ რას ემართლებიან ამ კაცს, რომ დიდმა და პატარამ იმის წინააღმდეგ გაილაშქრა, რომ ყველამ იმაზედ მიიტანა იერიში და ლამის კბილით დასჭამონ (მაშინ ხომ გაამართლებენ «ნარ-დონს», რომელიც ქართველობას კაცის მჭამლობასა სწამებს)! არ ვიცი და ვერ გამიგია „ნარ-დონის“ დანაშაულობა თუ რაში მდგომარეობს! შეიძლება თამბაქო მწრიდა ნება - დაურთველად? იქნება სადმე გამოხადა უპატენტოთ და ბაჟადუხდელად? არც ერთი და არც მეორე. არა, საზოგადოება აბრალებს „ნარ-დონს“ უფრო ძიმე დანაშაულს, უფრო მიუტევებელს ცოდვას. წარმოიდგინეთ, თუ ქართველებს რამე თავ-მოსაწონებელი გვაქვს, თუ რამე საამაყო გვაბადია, თუ რამე სასიქადულო გაგვაჩნია, იმათში პირველი ადგილი უცილობლივ უნდა დაეთმოს შოთა რუსთაველს, რომელმაც დაგვიტოვა ისეთ მდიდარ შინაარსიანი, ღრმა-აზრიანი და სიტყვა-წყობილი პოემა, როგორიც „ვეფხის-ტყაოსანია“; ის „ვეფხის-ტყაოსანი“, რომელსაც ყოველი ქართველი უბით ატარებს, როგორც ავგაროზს; ის „ვეფხის-ტყაოსანი“, რომელიც ჭირში ჩვენი მოსამძიმრე და მანუგეშებელია და ლხინში თანამოლხინე და თანამღერალი; ის „ვეფხის-ტყაოსანი“, ურომლისოდაც ვერც სიცილი გაგვიკეთლებია, ვერც ტირილს ვაჭერხებთ; ის «ვეფხის-ტყაოსანი», რომლის თითოეული სიტყვა ჩვენთვის საბუთია, სამართალია, კანონია; ის «ვეფხის-ტყაოსანი», რომელიც საფუძვლად, ხიდად დასდებია ყოველ გვარს იმის შემდეგ ნაწარმოებს ჩვენში: ჟურნალი გინდათ, გაზეთი, თუ ცალკე წიგნი. ჰეთია ავტორიტეტი «ვეფხის-ტყაოსანი»-ს დამწერისა ჩვენთვის და განა შეიძლება იმაზედ უარესი, რომ ამ კენის „ხელის-ხელ საგოგმანებელის“, ჯიბითა და უბით სატარებელის, სულისა და გულის თანამგზავრის, ტირილში მოტირალის და ლხინში მოლხინარის „ვეფხისტყაოსანის“ აბუად აგდება, დაკნეითება, ღირსებათ ჩამოცლა და გათახსირება განიზრახოს ვინმემ!!! განა შესაწყნარებელი, როცა გეუბნებიან, რომ ეს შენი ავტორიტეტი, ეს შენი რწმენა, ეს შენი „წმიდა-წმიდათა“ არაფერი არ არის და იმაშიაც შემცდარი ხარ, რომ ამდენს ხანს გიწამებია და დღემდის იმისი არარაობა ვერ გაგიგიაო! ჰო, შეუბრალებელი ბრალი, მიუტევებელი დანაშაულობა, მოუნანიებელი ცოდვა, რომელშიაც ამტყუნებს დღეს «ნარ-დონს» მთელი ქართველობა. თითქმის ასეთივე ბრალი ედებოდა გასულს წელში სანდალას, რომელსაც განსვენებულს ბარათაშვილს „ცუ იდეალისტი“ უწოდა. მაგრამ როგორ შეიძლება „ნარდონისა“ და სნდალას ბრალდება ერთმანეთს შევადაროთ! სანდალას იქმულს ადგილობრივ ავგო ანდერძი, შინაურულად იქმნა დასაფლავებული და კარს ალარ გატანილა. ხოლო „ნარ-დონს“-კი თავისი ძლევამოსილი ბანაკი შორს, უცხო მხარეს, უცხო ერში დაუცია და იქიდამ აწედის ბარსა და ნიჩაბს პალესტინაში საწყალის შეიდასის წლის წინად განსვენებულის რუსთაველის სამარეს. ძლიერ მკაცრია ეს ჩვენი ჩაუქი მეცნიერი „ნარ-დონი“! ასე გასინჯეთ, რუსთაველი იმის ღირსადაც აღარ მიაჩნია, რომ იმისი ძვლები ადგილს იჭერდეს სამარეში! გულის წყრომა გაგონილა და ასეთი მკაცრი! რა გაეწყობა, განა თითონ რუსთაველმა არ დაგვიწერა ასეთის შემთხვევისათვის რეცეპტი: „ჭირსა შინა გამაგრება ასე უნდა ვით ქვითკირსაო!..“ დიახ, გამაგრებაა საჭირო, მაგრამ გაუმაგრდებით-კი „ნარ დონის“ ასეთს სიძლიერეს. სხვებისა რა მოგახსენოთ და რაც შემეხება მე, მაინც ეჭვობ, რომ ამ წელიწადთან ერთად „ნარ-დონის“ უარ-ყოფის სახელარსაც აევება ანდერძი! დაიჯერეთ, რომ ეს წელიწადი უარ-ყოფის წელიწადია და ყველაფერში ესაა დანაშაული, თორემ სად იყო ამდენს ხანს „ნარ-დონი“? რამ დაიტია ამდენს ხანს წყარო იმის სიბრძნისა და გრიგალი იმის მეცნიერებისა? ჩვენ ვკეირობთ, რომ ბისმარკმა ელზას-ლოტრინი მოიწელა და ის-კი აღარ გვეოცება, რომ ჩვენში გამოჩნდა იმისთანა კაცი, რომელსაც რუსთაველის მოწელება განუზრახავს. გვებრალება ასეთის განზრახვისათვის გმირი „ნარ-დონი“ და იმისი მგლისა და ბისმარკისებური მადა. გვებრალება და სიბრალულითაც მოვსთქვამთ:

მო დავსხდეთ, „ნარ-დონისათვის“
ცრემლი გვდის შეუშრობელი!
მისებრ გმირისა არავინ
ჯერ არ ყოფილა მშობელი.
ახალ ნაზარტყა ბრძენის,
ჩვენის ყველაფრის მგმობელი,
მეცნიერების გულისთვის
უმეცრებისა მკობელი!..

—

მაგრამ ვით ცხენს შარა გრძელი
და გამოსცდის დიდი რბევა,
მოხუცთალსა მოედანი,
მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე ცრუ-მეცნიერთ
ნამდვილ მეცნიერთ შეტევა,
რომ მოაკლდეს სათვნელი
და დაუწყოს სიბრძნემ ლევა.

—

მაშინ და ჰნახეთ ცრუ-ბრძენი,
მის ტყუილების სშიროზა,
რა ვეღარ მიხვდეს რის ამბობს,
დაუწყოს სიბრძნემ მციროზა...
არ შეამოკლდეს ტყუილი,
არა ჰქონდს სიტყვა მცირობა;
ხელ-მარჯვეთ სწერდეს სიცრუეს,
იმ ჰარის დიდი გმირობა.

დათიკო ვერმიცანაშვილი

დემიის განსვენებულ პრეზიდენტის ა. ა. ტოლსტოისა და აკადემიკოსის ბუნიაკოვსკისა და ბეზობრაზოვის შესახებ; შემდეგ წაიკითხა ანგარიში აკადემიის მოქმედებისა ფიზიკა-მათემატიკის განყოფილებაში. ა. ნ. მაიკოვმა წაიკითხა ანგარიში რუსულის ენისა და სიტყვიერების განყოფილების მოქმედებისა. მიესაჯა ჯილდონი: სიმბირსკის თავად-აზნაურობის მიერ დაწესებული ჯილდო სახსოვრად იმპერატორ ალექსანდრე II-ისა, ტაინი სოვეტნიკს სემიონოვს 1500 მან. თხზულებისათვის „Освобожденіе крестьянъ царствованія Императора Александра II“, გრაფ ტოლსტოისა—მეორე ოქროს მედალი 250 მანათის ღირებულობისა—პონომარიევს, მესამე ჯილდო ა. მ. სიბირიაკოვისა 1500 მან. ანდრიევიჩს სამის საისტორიო ნაწერისათვის ციმბირის შესახებ. სეკრეტარმა გამოაცხადა, რომ მთავარი ჩერნოგორიისა ნიკოლოზი თანხმაა მიიღოს საპატიო წევრობაო. არჩეულ იქმნენ საპატიო წევრებად: კიევის მიტროპოლიტი პლატონი, არხიეპისკოპოსი ხერსონისა ნიკანორი, ტაინი სოვეტნიკი გიუბენეტი, ბარონი ოსტენსაკენი; წევრებად—კორრესპონდენტებად: პროფესორი სტოკჰოლმის უნივერსიტეტისა სოფიო ვასილის ასული კოვალევსკისა, წევრი პარიჟის ინსტიტუტისა მორის ლევი, პროფესორი რომის უნივერსიტეტისა კანნიცარო, პროფესორი პარიჟის უნივერსიტეტისა გენრიხ ბოლგენი, დ. ს. ს. ნ. ნ. სტრახოვი, ვიკონტი ექენ-მელხიორ-დევოგიუე, პროფესორი ბერლინის უნივერსიტეტისა ბრიუკნერი, სამხრეთ სლავიანების ფილოლოგი ბუდმანი და პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტისა ვ. ო. კლიუჩევსკი.

მადრიდი. მეფის მდგომარეობა ძალიან საშიშია. გუშინ ძლიერ გააციება და ძალიანაც დასუსტდა. შიშობენ, რომ ვაი თუ სენი ტვინში ჰქონდეს ავარდნილიო.

პეტერბურგის ბირჟა, 29 დეკემბ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | „ | 7 30 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 144¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 09 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 250½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | 228 | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 98 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 98 „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 84¾ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. 3½
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ 3½
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . . . . „ „
„ 2 „ „ „ „

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საყმაწვილო ამბები თ. ასათიანისა, ფასი . . . | „ | 10 |
| სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული . . . . . . . | „ | 10 |
| საერთო კიდლის კალენდარი 1890 წ., ექ. ხელაძის გამოცემა . . . | „ | 25 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ქართული თეატრი ვ. გუნიასი . . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა . . . | „ | 15 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| აყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | „ | 30 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. . | „ | 50 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| ჩანგი, კრებულილექსთა და სხვა . . . . . . . | „ | [illegible]0 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . | „ | [illegible]0 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . | „ | 45 |
| თორნიკე ერისთავი აკაკისა. | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ბაბა და მისი შემუშვება მ. ჯ—ლი. . . . | „ | 15 |
| დახასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ გადმოღებული ინ—კნისაგან . . . . . | „ | 20 |

ამ დღეებში გამოვიდა და ისყიდება სარქისოვის მაღაზიაში, წერა-კითხვის და სხვა წიგნის მაღაზიებში

ვრცელი, შევსებული

## საქართველოს კალენდარი

1890 წლისა

გამოცემული

ვალერიან გუნიას მიერ

გრ. ყიფშიძის რედაქტორობით.

საქართველოს კალენდარში სულ 12 განყოფილებაა

პირველ განყოფილებაში წმინდა საკალენდარო ცნობანი მოთავსებული; მეორეში—საზოგადო მიმოხილვაა კავკასიისა და საქართველოს და მოხსენებულია დაწვრილებით სივრცე მიწა-წყლისა, რაოდენობა მცხოვრებთა, საადმინისტრაციო დანაწილება, ვაჭრობა და აღებ-მიცემა, სწავლა-განათლება წყარონი საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა და სხვა; მესამეში—საადმინისტრაციო მართვა-გამგეობის ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ა. ფრონელისა კავკასიის საადმინისტრაციო წეს-წყობილების შესახებ; მეოთხეში—სამოსამართლო დაწესებულებანია აწერილი და წინ უძღვის ნ. უ—ის წერილი სამართალის შესახებ ჩვენში; ამავე განყოფილებაშია ნიმუშები ზოგიერთის საჭირო ქაღალდის შედგენისა და სხვა; მეხუთეში—აწერილია ფოსტა-ტელეგრაფისა და გზების წესები კავკასიაში და წინ უძღვის წერილი გ.-გ-სი გზების ვითარების თაობაზედ; მეექვსეში—საქართველოს ეკკლესია და სასულიერო მთავრობაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ნ. მნათობიძისა საქართველოს საეკკლესიო იერარქიის შესახებ ძველად; მეშვიდეში—საერო და სასულიერო სწავლა-განათლების ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის ა. ფრონელის წერილი სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში. აქვეა ცალკე ნაწილად: სამეცნიერო, საქველ-მოქმედო, სამკითხველო და სხვა საზოგადოებანი ჩვენში; მერვეში—რუსეთის იმპერია და ქვეყნიერობაა მოკლედ აღწერილი; მეცხრეში—საქმიო, საოჯახო, სამეურნეო და სხვა გამოსადეგი ცნობანია მოთავსებული და წინ უძღვის ვ—ის წერილი: თავის მოვლა-შენახვის გამო; მეათეში—საკრედიტო დაწესებულებანი, ვაჭრობა და ყოველ-გვარი ანგარიშის გარემოებაა; წინ უძღვის წერილი გ. მაიაშვილისა: მოკლე მიმოხილვა წარმოებააღებ-მიცემისა ჩვენში ძველად და ახლა; მეთერთმეტე სალიტერატურო განყოფილებაა და, ზაყვლის საკუთარ ლექსებსა და თარგმნილებს გარდა, შეიცავს შემდეგს წერილებს: ლეინია გადაიჩება, მოთხრობა გ. გაბაშვილისა; ფერია, ქართული ლეგენდა ესომისა; თვით-მმართველობა გრიგენისა; ამბავი სიყვარულისა, მოთხრობა მატილდა სერაოსი, სიტყვა ვიქტორ ჰიუგოსი, ბიოგრაფიები კავკასიის მოღვაწეთა; ამიცან და რა არი, დ. სოსლანისა, ჩვენის ცხოვრების გზა-კვალი, გრ. ყ—მისა. მეთორმეტე განყოფილებაში მოთავსებულია ადრესები, წინასწარმეტყველებანი 1890 წლისა და განცხადებანი,

საქართველოს კალენდარში 550 გვერდია in 16°

ფასი უყდოდ ათი შაური, მოვარაყებულის ყდით ერთი მანათი.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ ოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 | თვეით . . . | 10 მ. —კ. | თვეით . . . | 6 მ. —კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლა—40 კაპ.

თუ თთვე განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდ 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროებს მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



სამეურნეო გაზეთი

# „მეურნე“

გამოდის კვირაში ერთხელ.

გაზეთი „მეურნე“ მომავალს 1890 წელს გამოიცემა იმავე პროგრამითა და სივრცით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

გაზეთის ფასი:

| ტფილისში | | ტფილისს გარეთ | |
|---|---|---|---|
| 1 წლისა . . . | 4 მ. — | 1 წლისა . . . | 5 მან. |
| ½ „ . . . | 2 მ. 50 კ. | ½ „ . . . | 3 მან. |

ცალკე № —15 კაპ.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდად ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ და 20 კაპ. პირველ გვერდზედ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება: „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით რედაქციაში, რუსტის ქუჩაზედ, სახლი № 1.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უნდა მიმართონ თითონ რედაქციას შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію газ. „Мэурнэ“.

გაზეთის გაგზავნის გამო რედაქცია პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში წარმოადგენს.



Въ предстоящемъ 1890 году

(Восемьнадцатый годъ изданія)

# АРМЯНСКАЯ ГАЗЕТА

# „МШАКЪ“

Будетъ издаваться въ Тифлисѣ по прежней программѣ.

Подписка принимается въ редакціи (уголъ Базарной и Баронской, д. Таммшевой), въ Агентствѣ Хидекел а также въ конторѣ г. Мирза Теръ-Григорьянца, на Сіонск. улицѣ.

Подписная цѣна: на годъ 10 рублей, полгода 6 руб., по мѣсячно по 1 руб.

Иногородные обращаются: Тифлисъ. Редакція „Мшакъ“. Адресъ для заграничныхъ подписщиковъ: Tiflis. Redaction „Mschak“.

*Редакторъ-Издатель:* Григорій Арцруни.


Доз. ценз. Тифлисъ 30-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.